საკონკურსო განცხადება

ქალაქ მცხეთაში მიმდინარეობს კულტურის სახლის მშენებლობა. თავდაპირველად კულტურის სახლის მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო კოსტავას და აღმაშენებლის ქუჩებს შორის, შემდეგ განიცადა ადგილმონაცვლეობა და ამჟამად მშებელობა მიმდინარეობს ღართიკარის დასახელებაში, შესაბამისად საჭირო გახდა ადგილმონაცვლეობის შედეგად გამოწვეულ ცვლილებებზე კონკურსის გამოცხადება.

1. ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: **ქალაქ მცხეთაში მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო განსახორციელებელ ცვლილებებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.**

აღნიშნულ დოკუმენტაციაზე კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ან სხვა აკრედიტებული პირისგან.

3. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით).**

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

5 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, ს.კ 236098833).

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 19 ივნისს, 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.136.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

11. წინასწარი ანგარიშსწორების ფორმა (ავანსი) არ გამოიყენება.

12. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

- **ესკიზი, სქემა და განმარტებითი ბარათი ;**
- **მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო გამოწვეულ ცვლილებებზე განსახორციელელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების შესახებ ინფორმაცია.**

- **ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.**

- **საკონკურსო წინადადების ფასი. (დღგ-ს გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არის დღგ-ს გადამხდელი)**

- **რეკვიზიტები.**

- **ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელად ან არ გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.**
- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.**

ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს ეტაპის „კონკურსი გამოცხადებულია“ შემდეგ.

13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

14. **საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს არ განიხილება.**

15. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

- **ესკიზი, სქემა და განმარტებითი ბარათი -0. 3**
- **სამშენებლო სამუშაოების სავარუდო ღირებულება-0.5**

- **საკონკურსო წინადადების ფასი-0.2**

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

16. **გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარულ დღეში დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა სანიტარული ნორმების სრული დაცვით.**

17 გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

18 წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილში ან „ავტოკადში“.

19 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები. შეწყვეტის თაობაზე შემსყიდველი წერილობით აცნობებს კონკურსანტებს.

20. დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს „ტექნიური დავალებით“ მოთხოვნილ მონაცემებს.

21. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.136, ტელ: 577600280 ქეთევან ეკალაძე.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს- ქალაქ მცხეთაში მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო განსახორციელებელ ცვლილებებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია ქალაქ მცხეთაში, მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო გამოწვეულ ცვლილებებზე განსახორციელელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების შესახებ. კონკურსანტმა საბოლოო სახარჯთაღრიცხვო თანხა შეიძლება წარმოადგინოს -თავდაპირველად წარმოდგენილ ღირებულებაზე მაქსიმუმ 10 %-ით მეტი.

კონკურსანტის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, მიმდებარედ მშენებარე სპორტული კომლპექსი, კერძოდ ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას.

კონკურსანტებმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელონ საქართველოში მოქმედი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად.

გათვალისწინებულ უნდა იქნას უნარშეზღუდულთა საჭიროებისათვის ყველა მოთხოვნა.

პროექტი უნდა მოიცავდეს:

1. გარე კომუნიკაციები:

- წყლის ქსელი;
- წყალარინება;
- ელეტქროობა;
- სანიაღვრე ქსელი;
- საქვაბის მოწყობა;

2. ეზოს კეთილმოწყობა გარე განათებასთან ერთად.

პროექტის ძირითადი იდეები, პარამეტრები, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და სხვა ტექსტური მასალა მოცემული უნდა იყოს განმარტებით ბარათში.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები, დღგ-ს ჩათვლით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტების შესაბამისად.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ,_____(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი _____სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 **ქალაქ მცხეთაში მშენებარე კულტურის სახლის ადგილმონაცვლეობის გამო განსახორციელებელ ცვლილებებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.**

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ საკონკურსო კომისიის წევრები.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება კომისიის წევრების მიერ დოკუმენტაციის განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, აღმაშენებლისქ.136

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2015 წლის_____

6. მხარეთა უფლება- მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზერუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7. 1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს საკონკურსო კომისია.

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლემამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის _____ და მოქმედებს 2015 წლის _____ჩათვლით.

შემსყიდველი
ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ.136
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022
ს/კ236098833
ა. ნემსიწვერიძე

მიმწოდებელი